

**შპს „ამფორა“
ფინანსური ანგარიშგება**

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ს ა რ ჭ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-18

შპს ამფორა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	31-Dec-2019	31-Dec-2018	1-Jan-2018
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	112 566	143 515	171 723
არამატერიალური აქტივები	10			
გრძელვადიანი აქტივები		8 938	11 339	13 740
		121 504	154 855	185 463
მარაგები	11	695 206	814 190	998 286
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		89 233	74 818	74 818
სხვა მოკლევადიანი აქტივები	12		-	-
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	13	108 202	109 276	254 473
მიმდინარე აქტივები		892 641	998 285	1 327 577
სულ აქტივები		1 014 146	1 153 139	1 513 041
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		427 442	427 442	427 442
გაუნაწილებელი მოგება		- 495 885	- 317 349	-317 349
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		- 299 745	- 178 536	-
სულ კაპიტალი		- 368 187	- 68 443	110 093
ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები			-	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1 382 333	1 221 582	1 402 948
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
მიმდინარე ვალდებულებები		1 382 333	1 221 582	1 402 948
სულ ვალდებულებები		1 382 333	1 221 582	1 402 948
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1 014 146	1 153 139	1 513 041

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2020 წლის 10 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ნანა ჯვარშიშვილი

მთავარი ბუღალტერი _____ თეა ხარჩილავა

შპს ამფორა

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	4	2 209 438	2 279 997
რეალიზებული საქონლის/ გაწეული			
	5	(1 548 227)	(1 553 310)
მომსახურების თვითღირებულება			
სრული მოგება		661 210	726 687
სხვა შემოსავალი/ხარჯი	9	587	(1 845)
გაყიდვის ხარჯები	7	(948 096)	(882 308)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(13 446)	(21 070)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		(299 745)	(178 536)
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი			
მოგება დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში		(299 745)	(178 536)
სხვა სრული შემოსავალი			
<i>ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება</i>			-
<i>კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად</i>			
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(299 745)	(178 536)

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2020 წლის 10 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ნანა ჯვარშიშვილი

მთავარი ბუღალტერი _____ თეა ხარჩილავა

შპს ამფორა

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	შენიშვნა	2019	2018
		2 209 438	2 279 997
შემოსავალი	4		
რეალიზებული საქონლის/ გაწეული		(1 548 227)	(1 553 310)
	5		
მომსახურების თვითღირებულება		661 210	726 687
სრული მოგება			
სხვა შემოსავალი/ხარჯი	6	587	(1 845)
		(948 096)	(882 308)
გაყიდვის ხარჯები	7		
		(13 446)	(21 070)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8		
		(299 745)	(178 536)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი			
მოგება დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადის ხარჯი			
		(299 745)	(178 536)
მოგება წლის განმავლობაში			
სხვა სრული შემოსავალი			
ერთეულები, რომლებიც არასოდეს იქნება			
კლასიფიცირებული მოგებად ან ზარალად			
სხვა მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის			
განმავლობაში		(299 745)	(178 536)

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2020 წლის 10 აგვისტოს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ნანა ჯვარშიშვილი

თეა ხარჩილავა

შპს ამფორა

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	საწესდებო კაპიტალი	განაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	427 442	(317 349)	110 093
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			-
ქონების გადაფასება			-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(178 536)	(178 536)
განაწილებული დივიდენდი		-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	427 442	(495 885)	(68 443)
2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	427 442	(495 885)	(68 443)
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			-
ქონების გადაფასება			-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(299 745)	(299 745)
განაწილებული დივიდენდი			-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	427 442	(795 630)	(368 187)

დირექტორი ნანა ჯვარშიშვილი

მთავარი ბუღალტერი თეა ხარჩილავა

შპს ამფორა

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	საწესდებო კაპიტალი	განაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	427 442	(317 349)	110 093
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			-
ქონების გადაფასება			-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(178 536)	(178 536)
განაწილებული დივიდენდი			-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	427 442	(495 885)	(68 443)
2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	427 442	(495 885)	(68 443)
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			-
ქონების გადაფასება			-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(299 745)	(299 745)
განაწილებული დივიდენდი			-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	427 442	(795 630)	(368 187)



დირექტორი ნანა ჯვარშიშვილი

მთავარი ბუღალტერი თეა ხარჩილავა

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაციის აღწერა

შპს „ამფორა“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა საქართველოში 2012 წლის 10 თებერვალს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერია: 404929672. „კომპანიის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია.

„კომპანიის“ ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერული და კოსმეტიკური საქონლის საცალო რეალიზაცია. ამფორას მაღაზიებში 100-ზე მეტი პარფიუმერული სახელია წარმოდგენილი: Chanel, Sisley, Shiseido, YSL, Lancome, Cartier, Hermes, Bvlgari, Narciso Rodriguez, Ellie Saab, Marc Jacobs, Chloe, Gucci, Dolce & Gabbana, Burberry, J.P. Gaultier, I. Miyake, C. Herrera, Versace, Davidoff, CK და სხვა.

ამფორა ფლობს ერთ პარფიუმერულ მაღაზიას, რომლის ფაქტიური მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია. კომპანიის დირექტორია ნანა ჯვარშიშვილი

„კომპანიის“ დამფუძნებლები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილნი არიან შემდეგნაირად:

- შპს „პრესტიჟი“ 34%
- შპს „სტალი“ 33%
- შპს „ივერია ფრანსი“ 33%

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები განხილულია მე-15 შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ინფორმაციის მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობების საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

მსს ფასს სტანდარტების პირველად შემოღება. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიას მომზადებული აქვს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

დამატებით, როგორც ეს გაშიფრულია მე-17 შენიშვნაში, კომპანიის საქმიანობაზე გავლენა მოახდინა ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდემიურმა აფეთქებამ, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში გამოაცხადა გლობალურ პანდემიად. ეს მოვლენა მიგვითითებს რომ

არსებობს გარკვეული გარემოებები რომლებმაც შესაძლოა ექვექვეშ დააყენოს კომპანიის როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს არსებობა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები გამოცდილებაზე სხვადასხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან.

ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს ამ კუთხით.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

4. შემოსავლები

ლარი	31-12-19	31-12-18
შემოსავალი პარფიუმერია	1 657 078	1 654 055
შემოსავალი კოსმეტიკა	552 359	625 942
სულ შემოსავლები	2 209 438	2 279 997

5. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	31-12-19	31-12-18
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(1 548 227)	(1 553 310)
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(1 548 227)	(1 553 310)

7. გაყიდვის ხარჯები

ლარი	31-12-19	31-12-18
შრომის ანაზღაურება	(274 155)	(257 756)
ამორტიზაცია და ცვეთა	(33 350)	(32 404)
იჯარა	(585 860)	(526 321)
დაცვის ხარჯი	(10 555)	(10 983)
დაზღვევის ხარჯი	(3 801)	(3 971)
რეკლამის ხარჯი	(14 000)	(8 772)
ბანკის საკომისიო	(26 373)	(11 391)
სულ გაყიდვის ხარჯები	(948 096)	(882 308)

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	31-12-19	31-12-18
საკანცელარიო ხარჯი	(215)	(102)
სამეურნეო ხარჯი	(9 563)	(11 551)
კომუნიკაციის ხარჯი	(1 844)	(1 884)
კომპიუტერის ხარჯი	(59)	(237)
საკონსულტაციო ხარჯები	(16)	(4 580)
სხვადასხვა ხარჯები	(3 847)	(2 7168)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(13 446)	(21 070)

9. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

ლარი	31-12-19	31-12-18
საპროცენტო შემოსავალი	-	-
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი	587	-
სულ ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	587	-

10. ძირითადი საშუალებები
2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

ლარი	ავეჯი და დამხმარე ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონება	ჯამი
ისტორიული ღირებულება	167 595	9 649	152 757	330 001
დაგროვილი ცვეთა	(101 341)	(6 018)	(50 919)	(158 276)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	66 255	3 630	101 838	171 723
მიღებულია 2018 წლის საანგარიშო პერიოდში	7 573			7 573
დარიცხული ცვეთა	(5 695)	(1 206)	(10 184)	(17 085)
გასული	(18 695)			(18 695)
ნარჩენი ღირებულება	49 437	2 424	91 654	143 515
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	49 437	2 424	91 654	143 515
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	49 437	2 424	91 654	143 515
დარიცხული ცვეთა	(19 559)	(1 206)	(10 184)	(30 949)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29 878	1 218	81 470	112 566

11. არამატერიალური აქტივები
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზია	ჯამი
ისტორიული ღირებულება	22 991	817	23 807
ამორტიზაცია	(9 563)	(504)	(10 067)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	13 427	313	13 740
მიღებულია 2018 წლის საანგარიშო პერიოდში	-	-	-
დარიცხული ამორტიზაცია	(2 299)	(102)	(2 401)
გასული	0	-	0
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11 128	211	11 339
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	11 128	211	11 339
დარიცხული ამორტიზაცია	(2 299)	(102)	(2 401)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8 829	109	8 938

12. მარაგები

ლარი	31-12-19	31-12-18
პარფიუმერული საქონელი	402 164	481 567
კოსმეტიკის საქონელი	284 256	318 522
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	8 786	14 101
სულ ინვენტარი	695 206	814 190

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

ლარი	31-12-19	31-12-18
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		
მოთხოვნები პარტნიორის მიმართ	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	74 818	74 818
სხვა აქტივები	14 415	-
სულ მოთხოვნები	89 233	74 818

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ლარი	31-12-19	31-12-18
ფულადი სახსრები ლარში	70 029	65 708
ფულადი სახსრები დოლარში	-	-
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	70 029	43 568
ნაღდი ფული ლარში	38 173	65 708
სულ ნაღდი ფული	38 173	65 708

14. ვალდებულებები

ლარი	31-12-19	31-12-18
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1 353 984)	(1 203 493)
მიღებული ავანსები	(16 460)	(16 339)
გადასახდელი ხელფასები	(11 889)	(630)
საგადასახადო ვალდებულებები	-	(1 119)
სულ ვალდებულებები	(1 382 333)	(1 221 582)

კომპანიას მოკლევადიანი ვალდებულებები პარტნიორი კომპანიებისგან მოწოდებული საქონლისგან შედგება რომელსაც კომპანია უკან დააბრუნებს მეიჯარესთან ხელშეკრულების გაწყვეტის გამო.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები დამფუძნებელთან

ლარი	31-12-19	31-12-18
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (საქონლის შეძენა) - შპს პრესტიჟი	550,186	456,247
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (საქონლის შეძენა) - შპს სტაილი	707,630	383,967
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (საქონლის შეძენა) - შპს ივერია ფრანცი	586,718	362,248
	1,844,534	1,202,462

შპს „ამფორა“ დამფუძნებელი კომპანიებისგან ყიდულობს გასაყიდად განკუთვნილ საქონელს.

16. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს, საბანკო ანგარიშებს და ფულს გზაში

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება

„კომპანიას“ თავისი ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არ გააჩნია დებიტორული დავალიანებები, შესაბამისად ვადაგადაცილებული სავაჭრო დავალიანებებიც „კომპანიას“ არააქვს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური ვალდებულებები

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს **აღიარების შეწყვეტა**

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა, ან აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

გადასახადები

i) მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

iii) საშემოსავლო გადასახადი

კომპანია იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად „კომპანიას“ აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხების განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება, როგორც ფინანსური ხარჯი. 2019 წლის საანგარიშო პერიოდში „კომპანიას“ ანარიცხების აღიარების ვალდებულება არ ჰქონია.

შემოსავლები

საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი შემოსავალი აღიარებულია შემოსავლებში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაცვლისას მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად.

ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება საწარმოს წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. კომპანიის კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების დანართებში.

პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომელიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორციელებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

ბ) სასამართლო დავები და სარჩელები

ხელმძღვანელობის აზრით, ადგილი არ აქვს მიმდინარე სამართლებრივ საქმეთა წარმოებას ან სხვა დარჩენილ დავას.

გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება. „კომპანია“ პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „კომპანიას“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან ან გარემოს აღდგენასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია დაკავშირებულ მხარეებთან განიხილავს: პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
 - (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
 - (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:
- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
 - (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
 - (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
 - (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
 - (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
 - (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
 - (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
 - (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

17. კორონა ვირუსის გავრცელების შესაძლო ეფექტი

2019 წლის ბოლოს ჩინეთში გავრცელდა ახალი კორონავირუსი (COVID-19). მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის ცნობილი იყო გარკვეული შემთხვევების შესახებ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ კორონავირუსი, როგორც გლობალური საფრთხე შეაფასდეს მხოლოდ 2020 წლის 31 იანვარს, რადგან ვირუსის მნიშვნელოვანი განვითარება-გავრცელება არ მოხდარა 2020 წლის იანვრამდე.

2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონა ვირუსული დაავადების სწრაფად გავრცელების გამო, პანდემია გამოაცხადა.

2020 წლის 21 მარტსა ქართველოს მთავრობის მიერ ვირუსის - კოვიდ-19-ის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყნის მასშტაბით გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 2020 წლის 31 მარტიდან კი ამოქმედდა საყოველთაო კარანტინი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოს ტერიტორიაზე

გადაადგილება და სხვადასხვა სექტორის ეკონომიკურ საქმიანობაზე და წეს და მთელი რიგი შეზღუდვები.

ვირუსმა შესაძლოა ბევრ ინდუსტრიაზე მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა შემდგომი მიზეზების გამო:

- საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის შემცირება, დაკარგული შემოსავალი, მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვის გამო
- კაპიტალური ინვესტიციების ნაკლებობა, მშენებლობების შემცირება, მომხმარებელთა მოთხოვნილებების შემცირების გამო პროდუქტებსა და მომსახურებაზე
- ფინანსურ აქტივებზე საბაზრო ფასების შემცირება, კაპიტალისა და სავალო ინსტრუმენტების ჩათვლით
- გლობალური მიწოდების ქსელის მოშლა, ადამიანებისა და ტვირთების გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის ვირუსის ზუსტი ეფექტის განსაზღვრა კომპანიის ხელმძღვანელობისთვის შეუძლებელია.

დროის მიმდინარეობასთან ერთად ვირუსის განვითარებისა და გავლენის ცვალებადობასთან დაკავშირებით იქნება მეტი სიცხადე.

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2020 წლის 10 აგვისტოს